

ტანტანტან

ფრონტებზე კატასტროფიული მდგომარეობის გამო ჩან-ჯაი-ში გადადგა. ჩან-ჯაი-ში ამერიკაში მიდის. (დენე შეზილან)



მ. შეზილან

ჩან-ჯაი-ში: მე ჩემი საქმე ვადაკეთებ და ეხლა სხვებისთვის დამითმია ახპარეზი.

ერთი სამუშაო ღლე

ჩიტო იხვამე დღეს განსაკუთრებით გვიან გამოცხადდა სამსახურში.

მიზეზები რამდენიც გინდათ, იმდენი იყო, რომ დავლაგოთ ისინი ასე დაიყოფოდნენ:

1. გუშინ, კურს კიდეც სადილის შემდეგ შელაპარაკება მოულოდნელად ზოგიერთი სადილო საკითხებზე, რომაც შუალაშემდეგ გასტანა და გვიანობამდე არ დაწყოლილა.

2. დილას რაიაც კარგი სიზმარი ნახა და როდესაც ერთი წამით გამოერკვა, ისევ სწრაფად დასუქდა თვალები, რომ სიზმარი ვაგონებულყოფილი... სიზმარი მართლაც გავრძელდა. მაგრამ, ყველა კარგად იცის, რომ დაძინება კაცის ნებაა, მხოლოდ გამოღვივება კი მეტ შემთხვევაში მუშაკის მერძვეს. ეს უკანასკნელი კი დღეს ძალიან გვიან გამოცხადდა თავის რაიონში.

3. როდესაც, ბოლოს რის ვაი-ვაგლახით ადგა და ჩიბისთვის წყლის ადუღება განიზრახა, აღმოჩნდა რომ ტიპ-ტიპში ნაეთი აღარ იყო და ათი წუთი ნაეთის ჩასხმას მოუწია. (ცოლს უკვე მოესწრო სადილაც წასვლა).

4. როდესაც ჩაი უკვე მზად იყო, გამოირკვა, რომ პურია საყიდელი და 20 წუთი მის მოტანაზე დაიკარგა.

5. პურის მოტანის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ჩაის უკვე მოესწრო გაცივება და ესლა გაცხელებას საქიროებდა.

6. დაბოლოს, როდესაც ქუჩაში გამოვიდა და ტრამ-ვაის ვაგონში ჩაჯდა, კონდუქტორმა კატეგორიული უპირი განაცხადა მანეთიანის დინურდაგებაზე და ვაგონიდან ჩამოსვა. ვინაიდან ყველა კონდუქტორები ერთი და იგივე მოდგმისა და ჯიშის არიან, იძულებული იყო საკუთარ ფეხებს დანდობოდა.

7. გზაში უეცრად ერთ შორეულ ნათესავს წააწყდა და მიხი ნაჩქარევად მიტოვება უხერხული იყო, სანამ არ გამოკითხა ყველა უცნობ და ნაცნობ ნათესავების სტე-ბედი და დამკამყაოფლობელი პასუხები არ გასცა ნათესავის გამოუღვეველ კითხვებს.

8. ყველა ამის შემდეგ დიდი უპაზრობა იქნებოდა რომ აჩქარებულყოფი, რადგან სულ ერთია ისედაც გვიან იყო და ამიტომ გზაში ნელი ნაბიჯით მიდიოდა.

9. სიცხიანი დღე იყო, ამიტომ მალე გააფლიანება იგრინო და რომ ცოტა გაგრილებულიყო, ლაღიქსთან შეუსტება რამდენიმე წუთით და მისდაუხერხურად ცოტა შეუღვიანდა.

10. დაბოლოს, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, გამე შევებულეაში იყო წასული და ჩიტოს ესლა არავინ ყავდა თვალყურის მადევრებელი. და შენიშვნების მიმცემი. მოადგილესთან კი კარგ განწყობილებაში იყო. და აი, სწორედ ამ ათი პუნქტის წყალობით ჩიტო მხოლოდ თორმეტის ნახევარზე გამოცხადდა სამსახურში რვის ნაცვლად და დღევიანების მიზეზად ცოლის ავად-წყობობა მოიმიწევა.

— დასიცხა მგონი გუშინ. ძალიან საშინ მდგომარეობაშია.

— კაცო, რადის მოსოლხარ მერე... წაიდი სახლში, ავიდმოყოფს მოჟარე!.. აღმოვადენ ყველანი.

მაგრამ ამ ბოლო დროს უწყობაში რაიაც ხმები დადიოდა შრატების შემცირების შესახებ. ამიტომ ჩიტომ უიმედოდ ჩააჩნა ხელი და მწუხარე ხმით წარმოსთქვა:

— რა გქნა... ხლაფორთს და დავითარაბას ისევ მუშაობა სჯობია... ზომ იცით ჩვენი *აღმინისტრაციის ამბავი...

ყველანი გაჩუმდნენ. ოთახში თითქოს მოჩვენებამ გაბარაო.

სრული 12 საათი იყო, როდესაც ჩიტო მოუჯდა თავის მთვრალს, გაშალა ქალაღებები და მუშაობას შეუდგა.

სიტყე მარტოობდა. მავიდაზე დაჯგოვილ ქალაღებ-ბის ერთი დანახვა მთელი კვირით დაუკარგავდა კაცს მუშაობის ხალისს, მაგრამ ჩიტო ენერგიულად შეუდგა ქა-

ლაღლების შესრულებას, რადგან მან იცოდა, როგორ უნდა ემუშავა და რა წესით მიდგომოდა საქმეს. საერთოდ, ცხოვრებაში ჩიტოს თავისი დამახასიათებელი წესები ჰქონდა.

არსებობს სამი წესი ქალაღების შესრულების და თვით მუშაკზეა დამოკიდებული, თუ რომელ წესს უფრო შეეგუება იგი.

ზოგი მომუშავე ჯერ გულდასმით გადაიკითხავს შესასრულებელ ქალაღს, შემდეგ ნახევარ საათით ჩაფიქრდება, შემდეგ კიდეც გადაიკითხავს ქალაღს, მოილეკს სიამოვნებით ტუჩებს და კიდეც დაფიქრდება. ამის შემდეგ კი რევე ორჯერ გადაიკითხავს ქალაღს, შეისწავლის ყოველ წერტილს და მიმებს, და მხოლოდ შემდეგ შეუდგება საბასუხო მიმართვის შედგენას. როდესაც მიმართვა დაწერილი იქნება, კიდეც ორჯერ-სამჯერ გადაიკითხავს მომართვასაც და მიმართვასაც, მოაწერს ხელს და პატრონსან შრომით მოღწენილს ოფელს შეუბლიდან სახელით მოიწმინდავს. ასეთი ხალხი უფრო ცნობილია ვოლოკიტჩიკების სახელით.

ზოგი მომუშავე კი სულ სხვანაირად უდგება საქმეს. ის აიღებს თუ არა მიმართვას, სწრაფად გადაავლებს თვალს პირველ სტრიქონს, ელვის სისწრაფით გადახტება ერთ რომელიმე შუა სტრიქონზე და ასეთივე სისწრაფით გადახტება უკანასკნელ სტრიქონზე. ეს სრულდებით საკმა-რისია. შემდეგ ზიზოით გადაისვრის ქალაღს გვერდზე, მიჩერდება ქერს წამით და თვალის დახამხამებაში საბასუხო მიმართვას გამოაცხობს. მორჩება რა თავისი საქმეს, ზანტად ამოიღებს უჯრიდან ბაპიროსს, ვაიფლის ნელი ნაბიჯით მეზობელ ოთახში ცეცხლისათვის. დაზრუნდება ნახევარ საათის შემდეგ, დააქქერდა დალილი თვალე-ბით ქალაღებს და ერთ სხათით თამბაქოს ლურჯ ბოლ-ში გახვევდა.

ა, ასეთმა მომუშავემ იცის მუშაობაც და დასვენე-ბაც. ამგვარ მუშაკებსაც აქვთ შესაფერისი სახელწოდება.

არიან კიდეც მესამე ჯგურის მუშაკები, რომლებიც პირველ ორს შუა ქანაობენ. ესენი პირველდებთან და მეორედებთან შედარებით ყოველად უბრალოცა ხალხია, საკუთარ ორიგინალობას მოკლებული. ეს ხალხი, გარდა იმაა, რომ ასრულებს თავის ქალაღებს, ასრულებს კიდეც პირ-აკლ ორ ჯგუფის მიერ შეუსრულებულ დატოვებულ ქა-ლაღებსაც. სხვა რამისათვის ისინი გამოუხადებარნი არიან. მათი სავსებით გამოყენება შეიქცა მხოლოდ მი-შინ. როდესაც მტატების შეკვეცაზე მოღება საქმე, ასეთ შენსტევეაში ისინი პირდაპირ ჰაერივით ატყობენი არიან და შეკვეცის მთელი სიმძიმე შაი ზოგზე გა-დადარა.

ჩიტო მეორე ჯგუფის მუშაკებს ეკუთვნოდა, ამიტომ პირველი ორი ქალაღი ამ ჯგუფის დამახასიათებელ წესით შესრულდა.

როდესაც სრულ ორ საათზე მესამე ქალაღსაც მო-კიდა ხელი, უეცრად დაამთქნია, მაგრამ ნებისყოფით დაქიმით სძლია დალილობას და ექსპრესის სისწრაფით გადაიკითხა პირველი, შუა და უკანასკნელი სტრიქონი, რომლებიც შეხმატკბილებულად ასე ლაღებდნენ.


„გიბრუნებთ რა ქინქილტრესტის მიმართვას ა. წ. გაწყვეტა ჩვენის აზრით ყოველად მიუღე-ბელია უკამყოფილებას გამოისთქვამს და საჩივ-რით იმუქრება“.

ჩიტომ შეატრიალა კალმისტარი და არც კი დაღი-რებულა, ისე შეუდგა საბასუხო მიმართვის შედგენას.

თქვენი მიმართვა ა. წ. 10 აგვისტოს თარი-ღით № 12357 სავსეა კურორზებით და აუბრე-ბელ გრამატიკულ შეცდომებით. არ არის არა-ვეითარი კავშირი წინადადების შორის, რის გამო მომართვის აზრი ჩვენთვის გაუგებარი რჩება. გარდა ამისა თქვენი სიტყვები „ჩვენის აზრით“ ყოველად დაუშვებელია და მიუღებელი, რად-

„მეცხარე“ ჩინეთი

„უცხოეთის გაზეთები სწერენ, რომ ჩინეთში სრული სიწყნარება, მაგრამ შინც განაგრძობენ სამხედრო გემების გზავნას“.



მარიამი

— ხომ ხედავ შვილო? აი ამას კვია დაწყნარებული ოკეანე!

გან „ჩვენი აზრი“ შეიძლება ქონდეს მხოლოდ მთავარ სამმართველოს. რაც შეიძლება უკმაყოფილებას, საჩივარს და მუქარას, ამაზე მოგეთხოვებათ სასტიკი პასუხი და საქმე გადაეცემა პროკურორს“.

ჩიტომ ერთის მოსმით მოაწერა ქაღალდს ხელი, და რბილად დასვენების დრო აღარ იყო საჩქაროდ შეუტანი

მიმართვა გამგის მოადგილეს, მოაწერია ხელი და უკვე ყოველმხრივ განმზადებული ქაღალდი რეგისტრატორს ჩააბარა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ შესრულდა ხამინანტე-ვარიც, ჩიტომ მიაღწია მაგიდა, დაიხურა ქული და ჩქარა ნაბიჯით ქუჩაში გამოვიდა.

ხინემატო.

ჩ ე მ ი ა ბ რ ო ნ ო მ ო ბ ა

ბავშობიდანვე მიზილდა მცენარეების ცხოვრება და უმაღლეს სასწავლებელშიც ამ დარგს დავეწაფე. ავირჩიე აგრნომობა და გადავწყვიტე გამოვსულიყავ ყოველ მხრივ „განსწავლული“ მეცნიერი, მცოდნე და სპეცი.

ასეც მოვიქციე: სხვები თუ რალაც სამ-ოთხ წელიწადს უნდებინ უნივერსიტეტს, მე ცხრა წელიწადი მოვანდომე ამ საქმეს. ესე იგი 1918 წელსი შეველ პირველ კურსზე და წილს „გავავთავე“. სიტყვა „გავავთავე“-ს ფრჩხილებში იმიტომ ვსვამ, რომ ეს ექსტენსის პროფესორს, რომელმაც ამ განხილულზე მითხრა:

— მოქალაქე ქაირობადე, გავავთავეთ ესაა, წადით ახლა, სოფელს დაუბრუნდით, მშობლები გეყოლებათ, პატრონობას გავიწყვენ, აქ ადგილს ტყუილად ნულარ აცდენთო.

თუმცა მე ისევ პირველი კურსის მსმენლად ვითვლებოდი, მაგრამ პროფესორის სიტყვებიდან სრულიად გარკვეული დასკვნა გამოვიტანე ე.ი. უნივერსიტეტი გათავებულად ჩავთვალე და გადავწყვიტე სოფელს „დაებრუნებოდი“.

სოფელი, რა თქმა უნდა, მომელოდა, როგორც ახალ ძალას, განათლებულსა და ცოდნით აღჭურვილს, რომ მისთვის ხელმძღვანელობა გამეწია და ჩვენი კუთხის ჩამორჩენილ მეურნეობაში გადატარილება მომეხდინა.

მობდა ისე, რომ ჩემს მაგიერ ბედი ანუ შავდა და უცბად გამომიჩნდა „ყოვლად შემძლე და ყოვლად მოწყალე“ (უფალი კი არა, პროტექცია) ჩემი ბიცოლა, ეპარქიალი კარგი ნაცინობი აღმოჩნდა საცერტრესტის დირექტორის მონადგილის თანაშემწისა და სურვილი გამოთქვა ჩემი „მოწყობის“ შესახებ. მე ვითავილე.

— როგორ, განა იმიტომ აღვიტურე უმაღლეს ცოდნით, მამაოჩვენსავით იმიტომ დავიწვიბირე: ზოლოვია, ბიოლოგია, ქრონოლოგია, ასტროლოგია, გეოლოგია, ტავტალოგია, გეოგრაფია, კალიგრაფია, ფოტოგრაფია, ბიბლიოგრაფია, ასტრონომია, ავტონომია, ეკონომია, მექანიზმი, ფულტურიზმი, პაროქსიზმი, პროტექციონიზმი, ექსპრესიონიზმი და ათასი იზმი, ზაცია, ლოგია და მავია, რომ ბოლოს მაინც პროტექციით მოვეწყო და ისიც საცერტრესტში? არასოდეს! თუ აქ ზოგიერთ უცხო ქვეყნიდან მოსულეებს შეუძლიათ მუშაობა და საქმის სათავეში ჩადგომა, ჩემზე უფრო უპირანია, მე უფრო „ქართული ვარ ჩემი სამშობლო ორ ზღვას შუა გადაჭიმული“.

— ხა,ხა,ხა,ხა! ბავში ყოფილხარ, ჩემო კარგო! ეგ, რაც ჩამოსთვალე მართლაც რომ იცოდე, არაფერს გიშველის, თუ...

— რა „თუ“?

— თუ პროტექცია არ გექნება!—განა არ იცი, რომ უპროტექციოდ თეთრი კატა შავ კატასაც კი არ გაეცნობა ჩვენს დროში?

— კი მაგრამ, ასეც რომ იყოს, ესლა ხომ პროტექციას სასტიკი ბრძოლა აქვს გამოცხადებული?..

— საიდან წარმოიდგინე? პროტექციასთან ბრძოლის კამპანია დიდი ხანია რაც ჩატარდა, მაშასადამე კამპანიის დამთავრების შემდეგ ის უკვე დაიწყებას მიეცა და პროტექციამაც ისევ გაშალა ფრთები.

— აბა ვახეთებში რომ სწერენ ვებრძოლოთ პროტექციასო?

— ის ვახეთები იბრძვიან,—გამგებები კი თავისებურად სწრიან და ჰკერავენ—ხომ იცი—სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა—შუა უხის პროტექცია... აი, ავიღოთ თუნდ ფასების დაკლებების კამპანია, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის კამპანია: კამპანიების დროს ყველაფერი ისე კეთდებოდა, როგორც საჭირო იყო, შემდეგ კი—ისეც ძიოო რჯულის დაუბრუნდენ კოაპერატორებს და დირექტორ-სპეცებიც—იმით ფასები ისევ „აათამაშეს“ ხლოო ბიუროკრატიზმა კი საქმიების გაქიანურებას უთროო უშობეს. ასეა ქვეყანა, სახანამ ერ-კა-ი მათ კულზე ფებს დაღამდეს—გამორმ-გამო-

ძრომა უნდა, პროტექცია და ნაცნობობაა საჭირო, ყოიოა ასე იქცევა და შენ ხომ გამონაკლისი არ იქნები?

— კი მაგრამ საცერტრესტს მაინც რა კავშირი აქვს აგრნომობასთან?

— ძალიან დიდი: ტრესტი ამზადებს საცერს, საცერში სტრიან ფქვილს, ფქვილს ხორბლისაგან ლებულობენ, ხორბალი სოფელში მოჰყავთ, ზოფელს აქვს მეურნეობა და შუა კი გინდა ამ მეურნეობის სათავეში მოექცე—მაშასადამე საქმეც საცრიდახ უნდა დაიწყებ... ერთის სიტყვით, მე ხვალევე წავალ საცერტრესტში და საქმიო მოკვარახეინდება.

რალა თავი შეგაწყინოთ, საქმე დაიწყო „თხამ ცენახი“ შექვამა—ს მსგავსად და ვთავდა იმით,რომ მე დავინიშნე წაბლოვანის რაი-აგრონომად.

სოფლად ჩემი მოღვაწეობა დაიწყო სანიტარულ კომისიასთან ბრძოლით: წარმოდგინეთ ამ კომისიის უფიცობა—დადიოდა ეზო-ეზო და ლეხებს ძალით ასუფთავებინებდა კარ-მიდამოს აზიდვინებდა საქონლის პატივს (ფუნას), აწმენდინებდა ზაურლებს, სანაგვეებს და სხვა ასეთებს, სადაც იყო მცენარეულობის სასუქი.

— რას ხადით უგუნურნო, განა არ იცი, რომ ნესვი და დამბალი ნაგავი მეტად საჭიროა სოფლისათვის? ეგ პირველი წამალია მოსავლისთვის, ჩვენი მიზანია მეურნეობის აყვავება, მისი კულტურულ ნიადაგზე დაყენება, მიწების განაყოფიერება—ამისთვის საჭიროა ფუნა, ბუჩო, ნესვი, ნაგავი, ეს სიმდიდრეა სოფლის—თქვენ კი ამ სიმდიდრეს ართმევთ და სოფელს ცარიელზე სტოვებთ? ცოცხალის თავით არ დაგანებებთ ამ ფუნას, იგი მე მინდა! ასე შევეტაკე სანიტარულ კომისიის თავმჯდომარეს.

— ყმაწვილო, თქვენ ქუთაზე ხომ არ გადამცდარხართ? ჯანმრთელობის დასაცავად სისუფთავეა საჭირო, ჩვენ ამ სისუფთავეს ვიცავთ—თქვენ კი ნაგავსა და უწყინლურებას ეპატრონებთ?

— არასოდეს, ცოცხალის თავის არაგის დავანებებ ამ ძვირფას ნესვსა და ბუჩოს ის მე მინდა—ვეყვიროდი მე.

ამ შეტაკებას გლეხებიც დაესწერნ და შუაკაცობა დაგვიწყეს. ერთმა მოხუცმა მომმართა მე:

— რითვინა ჩხუბობთ შენი ქირიმე?—ე, ნესვი სოფელში ბევრია, რამტონიც ცნებავს მიირთვი, დანარჩენი კი ემაგა ცანტარკამისის დაუთვი, მაგასაც თავისი საჭიროება აქვ, ორივე ნაწველები ხართ, ნაგავზე არ ვახსუებთ?

— თქვენ რა იცით ტეტიებო, რა ძვირფასია ფუნა?—იგი ბუჩო ჩვენი ცხოვრების, იმაზე შინდება მეურნეობა, ეკონომიკა, სტატისტიკა, დინამიკა, სოფისტიკა, კრიტიკა, იგია სინტეზი ჩვენი ეკონომური მდგომარეობის სტატისტიკის.

— ენგრე იყოს შენი ქირიმე, მაგრამ ქართულათ ვავაგებინე მაგ ნესვის ამბავი, შენი „ტიკებისა“ არაფერი გვესმის.

— მე გატყობთ, რომ თქვენ მეურნეობასაც არაფერს გსმენიათ,—მამ რახან ასეა, უნდა მოვიწყვიოთ ხალხის ყრილობა, სადაც მე წავიკითხავთ ლექციას მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ. მაშინ ყველაფერი გასაგები გახდება თქვენთვის...

მე თქმა და საქმე ერთად ვიცი: მაშინვე წაველ აღმასკომში და სამშაბათისთვის მოვაწვევინე მთელი რაიონის გლეხთა კრება.

როცა ხალხი შეიყარა, ისმოდა ბუზღუნე და საყვედური: — ამ გახურებულ მუშაობი დროსა, რა დროს კრებაა, იგეთი რა გაჭირება დააღდა მა გამჩენ ძალლსა, რითვი გვაკლდება, რითვინაო?

მაგრამ აბა უსწავლელ ხალხს თუ არ აუხსენი, რა ესმის ასეთი მოხსენების მნიშვნელობისა?

მოხსენება ასე დაიწყე:

— მოქალაქენო, ესე იგი სოფელენო, (აქ დაივიწყე ნერწყვის ყლაპვა, მერე ერთი ქიქა წყალი დავაყოლე, შემდეგ საფეთქლების სრესა დავიწყე, შუბლზე ოფლი მო-

ვიწმინდე, ხალათის და შარვლის ლილები გავისწორე, ჩა-
ვახველე, დავამთქნარე და განვაგარმე:

— ამხანაგებო! (გულმა დაგი-ღუგი დამიწყო, ისევ ჭი-
ჭა წყალი, ისევ საფეთქლების სრესა, ოფლის წმენდა, ნე-
რწყვის ყლაპვა და სხვა).

— გლენებო, ე. ი. სოფლის პროლეტარიატო!..

— თქვი, რასა სწვალობ? რა ბუტული შავიძერა მაგ
ვერანა გუგრაში?

— ხაზო, თქვენ იცით, რა არის სოფლის მეურნეო-
ბა? სოფლის მეურნეობა არსებითად განსხვავდება ქალა-
ქის მძიმე ინდუსტრიისაგან, ის აქამდე პატრიარქალურ
დონეზე დგას, საჭიროა მისი რაციონალიზაცია, მელოო-
რაცია, მექანიზაცია, რესტავრაცია და სტაბილიზაცია...

— ქართულათ გვითხარი, ქართულათ!..

— მაშასადამე მეურნეობას უნდა გაუმჯობესებო. ეს

თქვენი მოვალეობაა, მე ვასწავლით და თქვენ კი უნდა შე-
ასრულოთ.— ავიღოთ მაგალითად ყანის თესვა: ყველამ
იცის, რომ კარგად დათესილი ცერცვი კარგს ყანას იძლევა
და ყანა კი ხორბალს გვაძლევს (გლენებმა თვალები სჭყი-
ტეს) ყანას ჰყავს ბევრი მტერი— მაგალითად თავვე, თავ-
გები უეჭველად უნდა მოვსპოთ. რითი შეიძლება თავგების
ძროსობა? აქამდე თავგებს ეზრდოდნენ კატებით. ეს საქმეს
არ შევლის, რადგან ზოგიერთი კატა ჩხაყინაა და თავგებს
აფრთხობს.

ამისათვის საჭიროა მაშინიზაცია, ე. ი. მექანიკური
თავგის საქვრები. ანუ ხაფანგები. მაშასადამე თქვენ უნდა
შეიძინოთ ხაფანგები და თვითულ ჯეჯილის ძირში თი-
თო ხაფანგი უნდა დასდგათ. ხაფანგზე უნდა წამოაგოთ
თითო ნაჭერი ყველი, ან კარაქი. ყოველ დილით უნდა ჩა-
მოიაროთ მინდორში და გასინჯოთ ხაფანგები, თუ თავგე-
ბი დაქერილი აღმოჩნდა, უნდა გამოიყვანოთ ისინი, თვა-
ლები დასთხაროთ და ისე გაუშვათ, ცხადია თვალეზ-და-
თხრილი თავგები მოსაველს ველარაფერს დააკლემენ და
ყანა უვნებელი ვადაჩეხება. (გლენებმა ერთმანეთს გაკვირ-
გებით ვადახედეს!)

ახლა ავიღოთ მევენახეობა: თქვენ იცით, რომ პანტის
ხე უფრო მსხვილ და ტკბილ ბოლოკს ისხამს, ვიდრე გა-
რეული მათლო. — ისიც გეცოდინებათ, რომ თავის დრო-
ზე დამყნობი თუთის ხე უფრო მსხვილ და ნოყიერ კარტო
წლის იძლევა; ასევეა ჭარხალიც: ჭარხლის ხეს
ყოფრო სწორად უნდა შაბამინით შეწა-
მვლა და გოგირდის შეყრა. რაც შეეხება კომბოსტოს
ის ალვის ხეზე ამოდის, ალვის ხეს კი უყვარს წყალი: თუ
გინდათ, რომ კარგი კომბოსტო მიიღოთ, ხშირად უნდა მო-
რწყუოთ ალვის ხეები. (გლენების გაოცებას და ჩურჩულს
ბოლო აღარ მიეცა).


ვადავიდეთ ახლა შებოსტნეობაზე: თქვენ იცით, რომ
ყურძენი მარტის ბოლო რიცხვებში ითესება. ყურძენის და-
სათესად ყველანაირ კარგ ადგილად არის ცნობილი ნაკელით
გაბატივებული ბოსტანი, რომელსაც სწორად უნდა აოშვა
და გამარგვლა. ფორთოხალისთვის კი პირიქით უაობიანი
აღდგია საჭირო. თქვენ იცით, რომ ფორთახალს ისხამს
ყარყართ მოვლილი პიტნის ხე და თუ პიტნა დროზე არ ჩა-
მოიკაფა, მაშინ ფორთოხალი იქვეა ხურმად.

საზამთრო და ნესვი ნივთის ხეებიდან (ე. ი. კაკლის
ხიდან) თავის დროზე უნდა ჩამობერტყოთ ჯგობით, ხოლო
კაკალი ფრთხილად უნდა მოკრიფოთ ოზრახუშის ტოტე-
ბიდან — ისე, რომ არ დაიქუციტოს. კომში და ვაშლი მშე-
სუმშირას ფესვებზე იზრდება — მიწაში. ის ისე ფრთხილად
უნდა მოთხაროთ სოლმე, რომ არ დაჭიანდეს.

მებაღეობაც ჩვენში ძველი დარგია: აქ პირველი ადგილი
უჭირავს ვაზს: ხომ გაგიგონიათ ილია წყერთლის სიტყვე-
ბი „ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა სტირისო“. ვაზი
ისხამს ლღვსა და ატამს, ხანდისხან წაბლსაც იძლევა, — მა-
გრამ რა ატირებს ვაზს ამხანაგებო? ატირებს ის, რომ წყენ-
ში მეურნეობა ჩამოქვეითდა, ვაზის მოვლა ძველი წესითა
სწარმოებს სოფლის აკლია ხელმძღვანელობა, აკლია აგ-
რონომები.

სამართლიანი შიში

ზაფხულის განმელობაში თბილისის
მოქალაქეებმა დალიეს რამოდენიმე ასო
ათასი ედრა ლუდი, ბორჯომი, კვასი და
სხვა ცივი გაზიანი წყლები.



— ვაი თუ თითონ მეც ერთ ღღეს გაზით ვიქცი!

აქამდე თუ ასე იყო ამხანაგებო, ამას იქით უნდა ეე-
ცადოთ გამოვაცოცხლოთ სოფლის მეურნეობა. ამისათ-
ვის მე არ დავიშურებ თქვენთვის ჩემს ცოდნასა და ნიჭს,
დაკვირვებასა და გამოცდილებას, მაშ გაუმარჯოს ჩვენს
მუშაობას ამხანაგებო...

მხოლოდ მოხსენების გათავების შემდეგ გამოვერკვიე
და დავინახე, რომ მოედანი ცარიელი იყო, გლენები აქვთ
იქით ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყვენ და ხმამაღლა იცი-
ნოდნენ. ჩემსკენ უთითებდნენ და ჩურჩულებდნენ.

გაკვირებული ჩამოველ ტრიბუნიდან და ჩემ თავს ეე-
კითხებოდი: ნეტა რა თქვი ისეთი, რომ ვერ გაიგეს? — სა-
წყალი ხალხი, როგორ ჩამორჩენილი და უცივია, რომ ეე-
რაფერი გაუგია. რაც ჩემთვის მეცნიერულად დამტკიცე-
ბული და აშკარაა, ამათში გაოცებასა და ჩურჩულს იწვევს
და ბოლომდე არც კი უნდათ მოამისინონ.

ამ ფიქრებში გართულმა ჩაუარე მათ გვერდით.

— უი შენ დედასა შეილო, რა შეილი გა-ა-ვი-ე-ბი-
ი-ხა-არ... მომატირეს უკან დედაკაცებმა.

— ხატისაგან არის, ხატისაგან, თვალზეხედაც ეტყება,
რომ ახალი შეშლილია, ნეტა ქალაქში დროზე გაიგონ და
უპატრონონ, იძახდენ გლენები... და ამის შემდეგ საითაც
მივდივარ, უკან ამედევნებიან სოფლის ბავშვები: ხმამაღლა
იძახიან, გიყი მოდის, გიყი, ნასწავლი გიყი მოდის! — ზოგი
ქვებს, მესვრის, ზოგი მეწყანება და გაიძახის: — ყურძენი ბო
სტანში დათესეთ, საზამთრო კაკლის ხიდან ჩამოყარეთ,
კომბოსტო ალვის ხეზე მოკრიფეთ“...

რასაკვირველია, მე ყურადღებას არ ვაქცევს, ეს მათ
უცოდინარობით ემართებათ. ამა ერთი ჩემსავით მიიღონ
უმაღლესი განათლება და მაშინ დარწმუნდებიან, რომ მე
მათ სასიკეთოზე ველაპარაკები. მანამდე კი მე განვაგრძობ
მუშაობას სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად.

თარბი.

წაღვერის ავანრავანი

წაღვერის ნაძვებმა საღერღელი ამიშალეს და სატარტაროზო გუნებაზე დაშაყენეს.

თქვენა გგონიათ, რაიმე შორიტი ზრახვები არ მაძლევენ მოსვენებას? თქვენც არ მომიკვდეთ!

მე სრულიად არ მინდა ცოდო დავილო და—რქიანი მატარებელი გადავამტვრიო.

მე ერთი უწყინარი კაცი ვარ,—სადა მაქვს ამდენი დავიდარაბის თავი! ასეთი საქმე უქრთამოდ და უსართოდ დამითმია იმათთვის, ვისაც ცოლის მზითვეს—აჟალმაყალი ურჩენია.

მე მინდა შინაური საუბარი გავმართო აქაურ თავმჯდომარესთან და იმისი პირით „ტარტაროზსაც“ გავაცნო, წაღვერის ცოტა რამ.

ორშაბათ დილა გათენდა ძლივს ავღდექი ზეზეო, არ დავიშალე, მივედი იმ ალმასკომის ბჭეზეო.

მოწინებით შეველე კარი და ვხედავ: იატაკზე სდვას მაგიდა,—მაგიდაზე სდევს პორთფელი,—პორთფელზე ალაგია თავმჯდომარის მკლავები—მკლავებზე ამხია თავმჯდომარის თავი და ზვრინავს.

მე მიხვედრილი კაცი ვარ. აქაც ხელათ მივხვდი: ჩვენს თავმჯდომარეს კვირასაც უმუშავია და დალოლილ დაჭანტულს ეხლა უნებლიედ ჩასძინებია.

ფეხაქრუფით გამოვედი ისევ და საუბარი გადავდევი შუადღისათვის.

შუადღისას გავიარე—ფეხებ ბედს გავცინა.

მაგრამ ბუჯით თავმჯდომარეს ისევ მაგრა ეძინა.

ვიფიქრე: დილას ერთგულად უმუშავებია და ეხლა არაქათ გამოლოლეს ისევ ახლად ჩაუთევებია მეთქი!

ჩემი საუბარი კიდევ გდავსდევ საღამოსათვის.

საღამოზეც გავიარე, იმედებით ვკვებავ ჩემ სულს: ვგრძნობ რომ—ეხლა მინც ვნახავ თავმჯდომარეს გადავიძებულს.

მაგრამ არა, იგი ისევ იმ მდგომარეობაში იყო, როგორც დავტოვე ჯერ დილით და მერე შუადღისას.

ეხლა კი ცოტა ექვი შექეპარა: ვიფიქრე—მანგი ხომ არავინ დააღვეინა მეთქი.

შემეშინდა, ცილი მე არ დამწამონ... ფეხაქრუფით ვაპირებდი მშვიდობით, ვაცლას, მაგრამ.. მეტის სიფრთხილით სკამს ფეხი წამოვკარ და თავმჯდომარემაც გაახილა თვალი.

მიუძღვნი მდაბალი, მკვიცხლი საღამო.

მივიღე ზარმაცი პასუხი — უკაცრავად ამხ. თავმჯდომარე, თქვენ აღზად დალოლილი ბრძანდებით.



— შუაღება შენ.. ცხენი სახლამდე მიმყვანოხ?
— ჩემს ეტლში კაცებო სხდებიან, სპილოები კი არა!

— რასაკვირველია! თანაც პატივცემულმა ამხანაგმა ისევ დამთქნარა, რომ მიკვირს—ყბა არ მოეღრიცა.

— მერე, ამხანაგო, თუ კი ეგრე დალოლილი ბრძანდებით, რატომ სახლში არა გძინავთ?

— ეს მეგობარო, სამსახურს და მოვალეობას როგორღა გავუძღვე: სახლში რომ დავეძინო?

მე გუნებაში გავიფიქრე: აი, ფხიზელი მუშაკი სწორედ ეს ყოფილა— რამდენი კარგი გამოიზონია ამ კაცზე და მართლა ღირსიც ყოფილა ქებისა.

— ამხ. თავმჯდომარე, მე თქვენთან სულ მცირე რამეზე მოვედი.

— მითხარით—თუ გრძელი არ არის.

— ჩემი კითხვები ერთობ მოკლეა, თუ თქვენი პასუხი არ იქნება გრძელი.

— მაგნაირი საინტერესო წინადადებით ჩემთან ჯერ არავინ მოსულა აბა მითხარით, რა გნებავთ.

დავდექი მკვიდრათ ფაშვილა სკამზე და შეუდექი ჩემს ნაქალაქედად აკიდებულ მოვალეობას.

— ერთი მითხარით გეთაყვა, რა კეთდება ამ თქვენ სამფლობელოში?

— ე. ი. წაღვერში?
— ღიას,
— არაფერი—

— როგორ? თქვენ საიდან იცით ჩემი თანამშრომლობა „ტარტაროზში“, რომ ეგრე ხუმრობით მიპასუხებთ.

— მე ხუმრობა მიყვარს!
— არა ამხანაგო, მართლაც მეც ძალიან კარგათ ვხედავ, რომ არაფერი არ კეთდება. მაგრამ...

— მაგრამ, მიზეზი ვერ აგინხნიათ?

— ღიას, სწორედ მიმიხვდით!

— ეხლავე მოგახსენებთ.

— თქვენ ხომ გახსოვთ ამხანაგო, „რეიმ ეკონომის“ კამპანია?

— მაგონდება.

— ღიას, ერთი-ორჯერ დამიბეჭდეს რაღაცა გაზეთში,—ერთი თქვენს დაყენეს უშველებელი ქარიშ-

ხალი და მერე ყველაფერი მიავიწყდათ. ესლა თითქმის აღარავის ახსოვს, თუ რა არის „რეჟიმ ეკონომია“, მე კი საუცხოვოდ მახსოვს იგი მთელი სიგრძე-სიგანით.

ზოგიერთმა ძალიან ბრუნდეთ, ცალმხრივად და ნაწილობრივად გაიგო „რეჟიმ ეკონომია“, იმათ ვგონათ, მართა ფულებს უნდა დაზოგვაო, მაგრამ სცდებთან, ყაირათი ყოველნაირად არის საჭირო.

ჭონებრივად, ფიზიკურად და სულიერადაც, ამიტომ ჩვენ.—

არცა ვხარჯავთ

არცა ვმუშაობთ

და

არცა ვფიქრობთ.

მე ყელში რალაც მომიღო, უწინოდ ვახველებ.

— იცი არ ამხანაგო, მინც საჭიროა ზოგიერთი ახსნა-განმარტება!

— მკითხეთ და მეც გიპასუხებთ.

—...ამხანაგო, აი, მავალითად ბალღინჯოების შესახებ...

ყველა მოავარაკენი სჩივან, რომ ბალღინჯოებმა ლამის შესქამონ. რასაც ყოველდღე ცოდვითა და წვალებით მატულობენ, იმას ბალღინჯოები აკლებენ. არავეთარი სანიტარული ზედამხედველობა არ არის სახლებზე, არც დეზინფექცია, არც სხვა რამ სისულთავე...

— რაო ამხანაგო, თქვენ ხომ არ გინდათ, რომ ჩვენ ბალღინჯოებს და უწყობთ დევნა? როგორ, ამდენ შავ-რაზმელებსა და კონტრ-რევოლიუციონერებს თავი მივანებოთ და ბალღინჯოებს გამოვეციდით?

კარგია შენმა მზემ!

ეგვც არ იყო, ესლა ხომ საჭიროა მოქალაქეთა გაწრთენა ბრძოლაში— ეს კი საუკეთესო საშუალებაა, რომ ღირსეულად გაიწრთინან მოქალაქენი და ასე მომზადებული შეხვდენ მომავალ თავის საფრთხეს, რომელსაც თავზე გვახვევს ბურჟუაზია. მაშ ძირს ყოველგვარი დეზინფექცია და სხვა!

მე აღტაცებაში ვარ თავმჯდომარის ასეთი დასაბუთებით და განვაგრძობ:

— ამხ. თავმჯდომარე, არცერთ ბილიკს რომ არ აყვებთ ტყეში— ამას რალათი დაასაბუთებთ.

— მავაზე დიდელი რა არის? ბილიკები რომ გავიყვანოთ ტყეებში, იცით მაშინ რა მოხდება? ყველა მოავარაკე დაიწყებს წაღმა-უკუღმა ხეტულობს და რასაც ასე წვალებით მატულობენ, ამ ხეტიალში დააკლდებათ. ამასთანავე ხომ იცით, ტყე სხვანაირ გუნებაზე აყენებს აღამიანს: ნაძვის თაბურუს და მხვევი სუნი, მწვანე ბალახი, მარტოობა... ყველაფერი ეს არა სასიამოვნოდ აუშლის საღერლელს და ზნეობაც სულერთიან წაირყვება. ამიტომ აღარ გავგვყავს არავეთარი გზა და ბილიკები.

— დიდებულა, საუცხოვოა, ამხ. თავმჯდომარე, მაგრამ ამას როგორ-

ფიქრები რალი-მიმღებთან



— რაც რომ ღმერთს მოუცია კი არა, რასაც არ მოუცია, იმას გავატნევ, თუ ამ ხატანჯავს ამაშორებ!

ლა აგვისნით, რომ უბრალო ფიცრებიც კი არ გინდათ დააკრათ სასიერნო აღდგენაში, რომ ხალხი ჩამოსხდეს.

— ამხანაგო, ამხანაგო, ამ ყაირათის დროს როგორ უნდა დავხარჯოთ ფიცრებზე ფული, როცა მიწაზე ჯდომაც საუცხოვოდ შეიძლება...

ჯერ ერთი, სკამი შეიძლება გადაბრუნდეს, გატყდეს და მასზე მჯდომიც წაიქცეს. მიწა კი არც გატყდება და არც გადაბრუნდება.

ამიტომ ის ყოველად საიქედოა დასაჯდომათ.

— რომ გაცივდენ?

— თქვენგან არ მიკვირს, ვინც მიწაზე ჯდომით გაცივდება, ის არც ყოფილა სასიცოცხლო!

— მაგრამ ამაზე რალას მეტყვიით, რომ აქამდე ერთი უბრალო ამანოც კი არ მოიპოვება მთელ წაღვერში?

— აბა ევ რა საკითხავია, თუ ძმა მარ, ქალაქიდან წაღვერში იმიტომ მიდინხართ, რომ გავრილდეთ და აქ ცხელი ამანო გავიმართოთ? საღ გავინილა, ცივა წყალი კი, აგერ გენაცვა, რამდენიც გნებათ— შუა წაღვერში მოჩხრიალებს.

— მაგ პასუხითაც მე აღტაცებული ვარ, მაგრამ იმას როგორღა ახსნით, რომ წაღვერში სრულად არ იწუხებთ თავს ქოჩების განათებასათვის?

— ამხანაგო, თქვენ თითონ იფიქრეთ, ქოჩები რომ გავანათოთ, ჯერ ერთი ზედმეტი ფულფუნებაა, მერე და მთელ ლამეს აღარ მოისვენებენ მოავარაკენი და სულ სერიოზობას მოუნდებიან. ესლა კი იძულებული არიან დაბინდებისთანავე ჩაიკეტონ სახლში და ტკბილ ძილს მიეცენ.

— ამხანაგო, რა საუცხოვოდ ასაბუთებთ ყოველ თქვენ უმოქმედობას, პირდაპირ სანიმუშო!

ამხ. თავმჯდომარე კმაყოფილებით გასწორდა სკამზე.

— დიან, მე ასე ვიოჯები, ჩვენი საკურორტო სამმართველო კი ერთხელაც არ შეიხვედავს აქ და უბრალო მადლობასც არ მღიროსებენ.

ეს, რას იზამ, ასეთი ბიუროკრატები არიან მოკალათებული ბეჭდ ჩვენ და წესებულებაში! იმათ კი რკინის ციციბი სჭირდებათ.

ამხანაგო, ეგებ თქვენ მინც ვაიმეტოთ ერთი ორი სიტყვა-გაზეთში.

— ვეცდები, უმძველად ვეცდები. ამ დაპირებით გავშორდი ამხ. თავმჯდომარეს და მას შემდეგ...

ერთი კითხვა გაღმეკილა ის გამიხდა ელზე საქმე: ამის მსგავსი აღმასკომის კიდევ არის ნეტა სადმე?

ნადირი.

მ რ ი „პ რ ი მ ე რ ი“

იცი არს გებნები? ეს ქვეყანა იზმენივი რამეა, დროება ქრელია, ჰამაც ხალხი სახანავით ტრიალებს: მძა-კაცობა, პურმარილი, ნათელ-მირონი, ჯგერაინი სიყვარული რამე. ყველაფერი ნულია, ფუსტიაკია—ტყუილია მეთქი! ახარ, გებნები, საყუთარ ნაბლუდენით გამამიციდა რალა, ლიჩინი ოპიტი მიქნია ჰიმ-არეც, ქუ-არეც, დრუსტემ ასუშინდ დაიჯერე გინდა ნუ..

ვთქოთ, შეი ჰარიფოვ: ნათქომი გჯერა, ფიცსა და პირობას ენდობი, დავერიას შერები,—ჰუნურში ფიქროვ თუ ყველაფერი მართალია და ზოგთან ფულს ხარჯამ, ზოგთან სიტყვას, ზოგთან მირონსა და რამეს.

ჰამა ერთი რამე იყოს, მორჩა: პუპუშე! ლალატი და უპირობა. ფულზე ატკანხი, მძა-კაცობის გერგილის და ფირის დაკარგვა, ჰამფსონობის დაფიწყება ნეპრემენია, სლოვომ—წინიდან რომ კაცი გიციინს,—არ ენლო,—უკანინდან ისემეს გიშერება—გალატობს მეთქი მამაშე!

ორი პრიმერი უნდა გითხრა იმაზე, თუ როგორ ზაპრუშალი დროება დადგა, როგორ ბემურაზი ხალხს გახდა და ჰუნურში მეც როგორი აბიდა ვამე ამისგნითა:

ენლასან ჰაკარაკათ ცოტა პური და შაქარი არ შეცოტავდა? მთელი ეს ჩენი ჰამქრის ხალხი ფეხზე დადგა; რაც რომ პრავიანტი იყო, ყველაფერი იყიდეს და სულ გუფეთე-გარდობობები და ღუსნაღანი კრაოტები ჩატიკნეს: ასმა შეიძლება დროება გადაბარუნდეს, არც შაქარი, არც ისემე ჩენთვის აღარ გამოუშონო—პროდუქტებით რალა და კანც მაშინ არ ვეძებოთ, ჰაზირ ახლავე ზაპასი ვქნათო?

ჰაიპარათ მთელი ზაზრის საქონელი გამოლიეს.

ჩემი კეველა მებნება თუ—

—საქულჯან, შე ბემურაზო, ახარ აქ მუხის თავივით რო დამჯდარხარა, ვერა ხელამ ქვეყანა ლიორანში ვარდება? ადექი რალა, შენც ზამთრისთვის ისმე ქენი, ზაპასი შანინახე პური რამე იშოვე და მიატანო.—რა ვიცი, კაცნი ვართ, შეიძლება ვაენი ჩავარდეს და პრავიანტი გამაილიოსო.

— ვებნები, დედაკაცო, მაგ სარსალ ხალხს ყურს ნუ უგდებ, რის ვაენი, რის ბოზასამ—რუსკი რე-სე-ფე-სერს პური გამაღლევა? იმისას ქვეყანა სქამს და რალა ჩვენ დავრჩებით მშიერები მეთქი?

საქმეში ხარ? თქო მორჩა! გაჯიუტდა და ახში მეც ამიყოლია.

რეშენია ვქენი გორში წავიდე და იქ კარგი ხორბალი ვიყიდო. ჰამაც, სურამში დანახე ერთი ნათლი დედა მყავს, ფული ემართა. ვთქვი თუ იქით ვავივლი, ჰამ პრავეტრინას ვიხამ და აჰამაც იმ ფულსაც გამოვართმევ და რამეებს ვიყიდი მეთქი.

შადათ დღეს დიდი ვინანარობით ვიყიდე ერთი ბილეთი და როგორც კი, პოეზშიც დავჯექი, მაგრამ რის ჩავჯექი? ჩავჯექი კი არა, ჩამდგეს ხალხი რომ არ ახურახურადა? ისე ვამიტაცეს და სადღაც კუნქულში მიმაგდეს გეგონება აბანოს ბოხააო მამაშე! მთელი რაგატი ხალხი მოდიოდა დაჩებზე—თავის ნუგბარ ცოლშვილში.

იმ დღეს სურამში თვალნათლივ ჩაველ და ნათლი-დედაც მალე ვნახე.

—ვა, ჩემ თვლებს, რა ოქროს სტუმარი მოხველი ნათლიჯან, ალბათ დაჩნათ გამოგივლუდენიაო,—არა რომ კარგი პატეისცემა გინდა, ჰამა ა. დასაწვავში პურის ოჩერედი გაჩნდა და ოჩერედში დღომით მუცლის ქონი დაგიდნება, აქ რალას მიამატეფო?

—ვა, აქედან უპურობისგნით ვავქტუნდი, იქაც უპურობა მხვდებოდა.. ისე აცუნცრუკებულა რომ ჰა, ნათელ-მირონს როგორ შეეცოლო თორემ ვიტყოდი—კარგი მადიან რამე იყო მეთქი, მამაშე! ამ მოთსა ვთქვით, იმ ბარისა, ჰაი ფლანდი, ჰაი ფსტანი და ბოლოს როგორც იყო გაუბედე:

—ნათლიდედ, ჩემამზე, არ შეგაწუხებდები, ჰამა ძალიან მინდა და თქვენზე რომ ბუჩულია, პაეალუსტა მამეცი მეთქი.

—ჯერ ცოტა იზოდინო და მერე იცი რა მითხრა?

—ახარ მაგისთანა წუწურაქობას თავი დაანებე, რალა ცარი ჩერეონცი გამოიყოლია—იმის გამობრას ველარ მოვებნებო პრიმერნათ ერთი რომ გაკაცო, ქვით ვიქნებოთ ჰააა-ჰა, რა ძალიან ზაპლა მივაქეაო და თან ხელს მიციცუნეს!

ვა, გულში თითქოს ბარაბანი დაუკრესო, დაგ-დუგ-დაგ-დუგ, ტვინი მერევა ჰელეთ-მელეთი მამდის და თან გულში ჩაბლუჯულ ნათლიდედას ვებნები:

—ნათლიდედ, რა შერები, ღმერთი გიწყენს ნათელ-მირონი აღარა გწამს!

იციინს:—გაჩუხუნდი, რა რა დროს მირონი და ზიარებააო, ჰამაც რის მირონი? ჩვენ ზაქსის ნათესავები ვართ, რომელი ფეთხანისქალები ავინთია და ტერტერას ჯგერისთვის გეიკოცნაო? გამამუსტიაკ. ბოლოს ისე წავიდა საქმე, რომ იმის მაგივრათ პურის ოჩერედშიც ჩავდექი და იმ ბუჩულს დაცხელი ავიღე.

ეს ერთი პრიმერი იმისი, რომ ნათელ-მირონმა თავისი ძალა და ლაზათი დაკარგა!

ახლა მძა-კაცობაზე გითხრა:

მეორე დღეს, სანამ პოეზი წამოვიდოდა, ბულვარზე ვიციდი. ერთიც ვნახოთ, ჰაკარაკათ სამაზონდი სასწორთან არ მიველ? ყველანი იწონებთან და რამტოლი გირვანქაც რომ გამოლიან, ეს სასწორი იმის დაწერილი ბილეთებს უგდებს. აწონვა შაურია. ბოლოს მეც შავდექი და ავიწონე... წკატ და ვადმოვარდა ბილეთი ხუთი ფუთი და ათი გირვანქა გამოველ—ტანისაამოსით, რამით... ვიძახი—აფსუს, დავაენი დროის 6 ფუთს ვიწონიდი და რამტოლი დამიკლია მეთქი. ჩავიდე ეს წონის ბილეთი ჯიბეში და წამოველი.

გორის სტანციაზე მძა-კაცები არ შამხვენ? ძველი პურმარილის ხალხი, ჯგეპელობის ჰამფსონები, შეითანი ბიჭები იყვენ; ერთად დროება ვავეტიარება, ძველი შნო და მარიფათი ვავსონდა.

ბადის ბოლოს წაველით, ლიახვის პირზე კარქი პურმარილი ვქამეთ და ჰამაც ბევრი რამეები ვთქვით. ჰაკარაკათ ჩემი ნათლიდედას ამბავი პადრობნათ არ ჩაუქენქე? ბოლოს კი იმ აწონვის აქაიაც ჩამოვადე და ჰამაც ბილეთი ვაჩვენე თუ მებოჯან. აი, ნახეთ როგორ მსუბუქი ვავხნარავარ მეთქი!

ერთიც ვნახოთ ეს ქოჩ-ქოჩა გიგუა არ წამოხტა?

—გამიშვით მაგის საფლავიც მიქამია. ჯიგარში ბე-ბუთი უნდა დავარკუთო. გამოჩნდა, რომ ის ჩემი ნათლი-დედა ქვრივი შუშანა იმის გულის ნუგბარი ყოფილა და სწყენია.

—შე ბაბაყულო ლუბუსტაცო, როგორ ვაბედე იმასთან საქმის დაქერა და ნათელ-მირონის გატეხვაო?

—ვებნები მძაო, შენ ხატის ღვინო თუ დავილევა, ის მითხარო—მე რა მიქნია? თუ საქნელი... ა, იმ შუშანამ ნაბარაოტ მე მიყო მეთქი... ბან-ჩუნეს, უჯათობის ვირზე შაჯდა და იძახის:

—სულერთია, გორიდან უტყეპავს არ ვავიშვეფო.

როცა ის ველარ დავაწყნარეთ, მძა-კაცებმა მირჩიეს—ადექი, საქულჯან გეცალე, ხათაში არ ჩავარდეთ... ავდექი,—ახში შუადლე იყო და პირდაპირ ყაფანზე წაველ. მშის გადახარადის იქ ვიყავ, რამეები ვიყიდე და ის არის წამოვლას ვაპიროვ, რომ პუპუშ, ეს ჩემი მძა-კაცები ქე-რეთი და დროს ტარებით პირდაპირ ყაფანზე მოვიდნენ. ყველა გაჯგვარდნილი იყო, დამიწყეს ყალ-მაყალი, შარს მა მდევს:

—გიგუას შუშანასთან ხუთი გირვანქა ხიხალაა პადარკათ მიქონდაო, შენ მოგიპარია და გიკამიო ამის სვი-დებლებიცა გვყავსო. ეს გიგუა კი ჰა, აღრენილ ბეხრეკე-ვით მიყურებს და ჰამ ყარამანდულის ახალხს იმკლავებს. საცქმარად იწვევს ჩემზედა მამაშე?..

ვეუბნები:—მებოჯან, ნამუსი არა ვაქვთ, ძმობა და პურმარილი არა გწამთ, მაგისთანა შარს რო მდებთ; პირ-

სურამის სიშვენიერანი



ხოლმერა მეგონა აქ მაინც ვიშოვიდი თავშესაფარს, მაგრამ ჩემთვისაც ძნელია აქ გაძლება!

ში როგორღა მიყურებთ მეთქი?... საქმეში ხარ, ვინ დაგიჯერა.

— რის ძმობა, რის მარიფათი, ჩქარა ხიზილალა ჩამოდიო!.. ფიცით დავილაღე, ჰამა ჰაკარაკები გახდენ და არ დაიჯერეს... ბოლოს გიგულა აფთარივით მომეფარდა, ხელში ციმციმ ამოყენა და იძახის:

— შენი პასლენდი წონა ხუთი ფუთი და ათი გირვანქა არის, ახლავე ყაფანზე დაგდეფ. აჯწონი, თუ ხუთი გირვანქით მეტი მოხვიდე, მაშინ ხიზალალა შენი შექმულია და სიქას გაგაცლიო!.. სუყველამ მაიწონა—აფერუმ გიგოჯან, რა ტალანტლივი ნიჭი გქონიაო! უკან გამაყვეს, ყვენობა გააკეთეს, ხალხის მახსარათ გაიზადეს, ჩემი ყვირილი საყვედური. ხეწნა არავინ შაისმინა...

ყაფანზე დამაგდო და მწონავს ეძახის ჩქარა ჩემ ჩოთში აწონე ეს ბაბაყული და თუ ხუთ ფუთზე და ათ გირვანქაზე მეტი გამოკედეს მიიხარო!..

— ხუთი ფუთის გირვანქა არამაქვს, ჰამა თუ არ გეწყინებთ დღეს ერთი გაფუფქული ღორი მიყიდინა, სწორით ხუთი ფუთი და ათი გირვანქა და გირვანქას მგავრათ იძახ დაუდიფო. ძალიან მოეწონათ ყველას, ჰამ წონასაც გავიგებთ, ჰამაც მახალაო ჭნებო, აბა მაგ ჭულზე სწორით ღორულათ მიიქცა და ღორთან უნდა ავწონოთო.

დამდეგს. სასწორის მეორე ხარეს ის ღორი დამიდეგს. მე დავძალე დაბლა დავიწიე ღორს ხუთ გირვანქიანი გირი დაუდეგს.

— კაკრაზ ხუთი ფუთი და ხუთმეტრი გირვანქააო იძახის მწონავი. ეს რა თქო, გიგულამ ვადმამათრია და ნაბადოვით ფეხქვეშ ჩამიგდო. დამიწყეს ცემა-ტყემა, დაცინვა მუქარა ჩქარა ჩამოდი ხიზილალაო.

— ვეუნები ძმებოჯან, მე რომელი ორავგული მნახეთ, რომ ხიზალალა გავაჩინო?—აქ აშოკაა, ნელარაზუმენია, გიგულას ლიზნი სიმტერესი აქვს ჩემთან და იმიტომ ასე აბილას მიშურება, თქვენ ხომ ძმა-კაცები ხართ, რათ მიშურებით მეთქი?

არავინ ყური არ მიგდო და ყისმათზე მილიციონს, რომ არ მოესწრო, ცოცხალს ველარ მნახამდით.

ასე ნატყეპი და აბილა-ნაქამი იმავე ღამეს გამოვიდარე და ჩემი საყიდი რამეებიც იქ დარჩა. ზარალი ვნახე.

ჰამა ზარალს ვინა ჩივის, ან ტყეპა ვის ახსომს? შენ გული თქვი, გული მტყევა, რომ ძმა-კაცობა ასე ვაფალ-შვიდა და გიგულას შარის გამო, ღორის გვერდით ამწონეს. აი, ესეც მეორე პრიმერა იმისი, რომ ძმობა და პურმარილი დაიკარგა ქვეყანაზე.

ფარხადან.

რადიო-კონცერტი სოფლად

— ქა, აბა წამო, რადიონმა უნდა ილაპარაკოსო.
 — რას ამბობ დიდაკაციო ქალაქიდან არავინაც არ მოსულა, ვინ უნდა ილაპარაკოს! ესხა იქ არ ვიყავ, კანცელარიაში!
 — არა ქა, ქალაქიდან უნდა ილაპარაკოს და კიდევ იმღეროსო.
 — ჰე—ჰე, პა-პა-პა! ძიან ვირული ხმა კი ჰქონია ი ვილაცა რიდიონია, რო ქალაქიდან აქამდე გაუწიოს... ჩვენი ფუხრული მეღორე სამი გუნდის გაშლაზე ვერ უწევს ხმისა და იმის რა უდრე იგეთი ყელში, რო აქამდე გამოუწიოს!
 — რა ვიცი ქა, აბა წაივადეთ და ვნახოთ.
 წავიდეთ.
 რადიომ გამოაცხადა: ეს და ეს კონცერტი იქნებაო.
 — ჰე—ჰე, რა ყოფილა კაცო: იგრე ისმის ასე გონია აქ, ბალკონზე იჯდეს.
 — უი ქა, დაიწვი, დაიწვი, უყურე როგორა მღერის ქალის ხმა, ი ჯანმკვდარი შიგ ჩადუთქულა!
 — აბა ე ვილა, რა დიაკენის ჩოკინასავით უწევს! ძიან რადიონა არა ყოფილა!
 დაუკრა ორკესტრმა.
 — პენსა შეცვალეს, პენსა.
 — უი ცეცხლი კი ჩავივარდეს მაგ ჯანში! რა ლამაზად აწვრიალბე ქა ხმას ჩვენი ხრიწიანი მამალივით.
 — აბა ი ვილა, რა ბოყი ხმითა აწვინობს.
 — ლოროტოტო უქირავს, ადამიანო პირში.
 — ლოროტოტო კი არა, ასე გონია ჩვენი შექარა კამეჩი ევადეს ყარყაროში.
 — წერილების გაბმულასავით ხან რო გაჰყვებტავენ და ხან ისეე გააბავენ, ეჰე—ჰე—ჰე—ჰე! რას არ მიიგონენებს ხალხი!
 — ხალხი კი არა, მე ჩემი თვალთა ვნახე, ჩვენებიანთ ღონყაზამ გააკეთა.
 — კარგია ერთი, მამავიცხონდა და! თუ ეგ ღონყაზას გამოგონილია, შე აღარა მცოდნია—რა!

— რა ვიცი ქა, ის კი იჩიხებოდა ამ კანცელარიის კრამიტებზე და! რალაცა ძაფებს აბამდა...
 — დაცა ერთი, ყური დაუგდო.
 რადიო ლაპარაკობდა ბეთოვენის მუსიკის შესახებ.
 — აბა ე ფეთხიანი ვილა.
 — არ გეყურება ქა: მუზიკა დაწერაო.
 — რას ამბობ ადამიანო! ყველაფრის დაწერა გამოვია და ბუზიკის დაწერა კი... რა ვიცი, რა ვიცი—ძიან კი გაეშმაკადა ე ხალხი და. რა სიტყვის პასუხია და არ შაიძლება ი ვილაცა, რო ლაპარაკობს უთხრა რამე აქედან?
 — რა უნდა უთხრა ბიჭო!
 — კაცო, ერთი გვირაბა ჩვენი ჩურჩულა დაბახი გავგზავნე ქალაქში ქირაზე და აქამდე არ მოსულა, აბა ერთი ჩაჰძახე, მანდ ხო არ არი თქო!
 — შენ ნუ მომიკვდები მამაშენიც სულ რადიონზე დაბერდა! დაბაღს იქ რა უნდა! აქედან არ შეიძლება ლაპარაკი.
 — რატომო მითობ.
 — იმიტომო, რომა...
 — გაჩუმდით ქა, გაჩუმდით, მღერიან.
 ვილაცა გადმოდგა და გამოაცხადა:
 — ესხა მოისმენთ მოსკოვის კონცერტს.
 — აი დიდება შენდა ღმერთო! მამ ესხა მოსკოვიდან ისმის ხმა? არა, მეღანეშმა ღმერთო, არ დავიჯარკებ. ან თქვენა ხართ ქაჯები, ან მე. სამი ათასი ვერსის მანძილზე თუ ვგრე კარგა მიაწვდენს კაცი ხმას, არა მგონია, ვგრე რო იყოს რკინის გზის ბილეთი არ გაძვირდებოდა.
 — ძმობილო, არ შეიძლება ხურჯინი გადავკიდო ე რადიონასა და გავატანო მოსკოვში! მოყვარე მყავს იქ!
 — ესხა არა, მაგრამ მალე მაგასაც გამოიგონებენ.
 — მამ რაკი აგრეა, წავიდეთ და დავამზადოთ ხურჯინები: თითოში ათი ედრო არაყი, მანდაც ხომ ველარ დავვიჭერენ გზაში!

ფენსანგი.

ქ ა ლ ლ ე ბ ი ა გ ა რ ა კ ზ ი

აგარაკზე, ცხადია, კაცს მოსვენება უნდა.
 ამ დებულებას მტკიცება არ ესაჭიროება.
 ისიც ცხადია, რომ ძალღი შინაური ცხოველია და მან ყველა იცის. სწორედ ამ ყველაზე საქმე.
 აგარაკ ბახმაროზე წელს რვა ათასი კაცი მოაგარაკა და ათასი ძალღი, ასე რომ, თითო მოაგარაკზე ერთი ძალღის მერგედი მოდის, ანუ თითო ძალღს უწევს რვა მოაგარაკე.
 — რა უყვით მერე? — იტყვის ვინმე.
 რა უნდა უყო, — არაფერი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ერთი მოაგარაკე მის წილხელომილ ძალღის მერგედს ვერ შექმამს (მოგესხენებათ, აგარაკზე გულ აზიზი ხალხია). მაგრამ, ერთი ძალღი (ისიც ეგრეთწოდებული **წუნჯალი ძალღი**) მთელი სააგარაკო სეზონის განმავლობაში თავისუფლად შექმამს მის ხვედრ რვა მოაგარაკეს. მით უმეტეს, რომ ბახმაროში სურსათ — სანოვავე არა თუ ძალღები სთვით, — მოაგარაკეთათვისაც არ არის საქმარისი, რის გამოც ძალღები მეტად დამშფულა.
 თითო სახლს ხუთი ძალღი უწევს.

და ისინიც სახლების ქვეშ არიან მოკალათებული. კვი ვაქვაცი ხარ და ღამით ცოტა შეგვიანებული ბინაზე დაბრუნდება. ჯერ გამოგედავება მესუთე, მერევე.
 სულ რაღაც ორიოდე წუთის განძელობაში მოაგარაკეზე ივრისში მიიტანს ხუთმეტრიანი ძალღი.
 კბენას რომ თავი დავანებოთ, მართო შინით დააკლდება კაცს აგარაკზე შემბეტებული ჯანი და შეიძლება ძველი ამოტანილიც თან მიიყლოს.
 ბახმაროში ყოლიან გრძელ ნაძვის ჯონებს, მოაგარაკე უჯოხოთ წარმოუდგენელია.
 ეს ჯონები დასაბიჯებლადაც ვარგა და თან ძალღების მოსაგერებლადაც გამოდგება. მაგრამ ამ ბოლო დროს, მწარე გამოცდილებამ ბევრა დაარწმუნა, რომ ნაძვის ჯონები ჰზის, ან სხვა მაგარი სის კეტებით უნდა შეიცვლოს, რადგანაც ნაძვის ჯონი სათუთია და ერთ წუნჯალ ძალღს რომ შემოკრა, სამთ გატყდება.
 რალა პასუხი უნდა გსცე დანარჩენ ძალღებს?..
 ძალღების ორგანიზაცია იმდენათ მაგარია, რომ აგარაკის ადმინისტრაციამაც ვერაფერი მოუხერხა მას. ;
 შესამინებლად ვითომ მოწამლეს,

სამიოდე ძალღი, მაგრამ ამან კიდევ უფრო გამაწვავა მღვთმარეობა.
 დილით, ადრე, ძალღის ყველა ვიციქებს. დღისით მოაგარაკე დიდი სიფრთხილით უვლის სახლებს შორიდან, რომ თავზე ხელაღებული ძალღი არ გამოგარადეს, და აყალ-მაყალი არ ასტეხოს.
 ნაშუადღევს ძალღები მშიერ ძეგლებით დაძრწიან და ნასუფრალს ექებენ.
 საღამოს იწყება გააფთრებული ყუთა და იერიში!
 ყვეფენ „მიძინილამდე“,!! ყვეფენ და იკბინებან.
 ამბობენ, ბახმაროზე ნაძვის ტყის სანერგეს აშენებენო.
 ეს შეცდომია: ბარველ რიგში და ისიც „დაკვრითი წესით“, აქ უნდა განმეიდეს ზზის სის და როკის სარებმა ტყე, სადაც დამზადდება საიმედო კეტები აქიურ ძალღების მოსაგერიებლად.
 ამას გარდა, უნდა მოხდეს მოაგარაკეთა შეიარაღება და მათი გასამხედროება, რომ მათ შესძლონ ძალღებისთვის შესაფერი პასუხის გაცემა.
 მანამ კი, იქიფეთ ყოველი ჯიშის ძალღები!

გ. ა—ხან.



ჩვეულებრივი სურათი საქართველოს რკინისგზის პატარა სადგურებზე.

ა ვ ს უ ს.

ასეთი ხათა იქნება, — მამადგა ჩემი სირნაუშა ტერ-მიკიჩას ჯოხივით და აღარ მაშშორდა!

— „გინდა თუ არა გორში უნდა წამიყვანო, დედაჩემის ნახვა მინდაო“.

ვეზნები, დედაკაცო, რა დროს გორია, ემანდ რავე ნესნასტიას არ გადავეკიდლოთ. ვერა ხედავ, კრუშენია — კრუშენიაზე არის და ერთიც ვნახოთ ჩვენი პოეზილიც რამეა დაეტაკოს და ლაფაშვით მიგვაკრას ვაგონის კედლებს! მაშინ?

ბევრი ვედაპარაკე, ბევრი ვეხევეწე, მაგრამ, ბანჩუნეს, — შავდა უკულო ვირზე და აღარ გადმოხტა.

— „აიო, აბეზატენლად უნდა წავიდოთო!“


ვიფიქრე ამის გაჯავრება ხელს არ მომცემს. გადავიწერე პირჯვარი, შევკარი ბარგი, დაუძახე ფაიტონს და წაველით გორისაკენ...

ვაგზალში ნასილიჩის ბილეთი ავაღებინე, ჩავჯექით პოეზდში და მივედივართ. გული შიშისაგან ლამის ამოვარდეს. მივედივართ, მაგრამ შიშისგან სული შეპარება; ვა, მოიღ და ნუ შეგეშინება. კაკო, დედაკაცს ხუთმეტრი წელი წადი ვეარსიყებოდი, როგორც იქნა ხელში ჩავივდე და ეხლა რომ იმას რამე მოუვიდეს, ხომ გავგიჟდი კაცი!

ხუმრობა საქმეა? იცით რა დედაკაცია? ვა, რომ არ იცით! აფსუს. ნუყლია, ალჯანანდია, მარმალადია, შოკალადია ქრისტეს მადლმა. ვა, ვე, ჭკვაზე მოდით! თქვენ ვინმე პროსტო არგეგონოთ. ჩვენ ქორწილში თოხიდასტა ზღირნა უკრავდა. ორი კვირა ბეზასტანოცკად ვაკრევენე. ჯერ ისე ხომ იმსისქო იყო, რომ საპიორნი ბატალიონის კაზარმა გეგონებოდა, მაგრამ ეხლა, ამ ორსულობის დროს ნამდვილი „ტიტანიკი“ გახდა, რალა.

ჩაველით როგორც იყო მშვიდობიანათ მცხეთაში, იქ სირანულმა ამიტყდა თუ: „პერაშკები მიყიდეთო“. ჩავარდი, განმავართვი პერაშკები და მოვდივარ. ვნახოთ ვილაცა მძებხის: „ვა, გეურქ სედრაკიმ ნუუქელი გამარჯობა არ გეკადრებოაო“. „მივიხედე და ვნახოთ ეს ჩვენი ვირდავი-თაანთ კეკელა, აი, ჩვენი ძირგავარდნილანთ პეტრუშას რძალი, რალა. დამდგომია წინა და ისეთ ნაირად მიწვრება თვალსა, რომ სულ ერუანტელმა დამიარა. მეც ღვთის წინაშე ძალიან წუწუქი რამე ვარ ქალებთან და ხელის მოთა-თურებაც მიყვარს, რაც მართალია-მართალია. მივარდი მამენტალათ, ჩამოვართვი ხელი, ხელის გულიც გამოვ-ფხანე რივიანად და ვტოროი ზეანოკიც დაუტარეს. ერთი პრაშალანთ კიდევ ჩამოვართვი ხელი კეკელას, მაგრამ მოუჭირე ხელი და ერთი ნიმუტი ვაჩნე და ვაჯანჯალარე. ამ ჩემ ქნევაში პოეზილი დაიძრა და მეც გავვარდი და ნა-

მილიციის უფლებმა არა იქნეს საგუშაგომ მოშორდეს



— მიშველეთ, მკლავენს!
 — რამენაირად ჩემამდი მოჩოჩიდი... მანდ რომ მოვიდ, მეც ხლავურთში ჩავვარდები.

ხადუ ერთი ვაგონით სირანუშას წინ ჩავჯექი. მინდა გადავიდე უკან, რომ ჩემი სირანუშა მოვძებნო, მაგრამ ვინ გიშვებს. მეცა კანდუხტორი და მეებნება: „პრატაკოლი უნდა შევაყენო, რომ ნახადუ შეჯექიო: „ვენებები: კაცო, გამიშვი ჩემ სირანუშასთან და შენ რამდენიც გინდა იმდენი შევაყენე მეთქი.

ამ ჩხუბში რომა ვართ, ერთიც ვნახოთ, რაღაცამ ბრავგანი მოაღინა. ვიფიქრე ნამდვილად კრუშენია არის მეთქი და შიშით ვაგონის პლაშატკაზე დავეტყვალა.

მწვევარ, და უყურებ თუ როლის გამსრესავს მეთქი. შიშით მთელი ყოლკები ბაღდაღურსა თამაშობენ. უყურე, უყურე და რომ არაფერმა გამსრისა, აედექი ზევით. მინდა გადავიდე სირანუშასთან, მაგრამ რა დაინახა ჩემმა თვალებმა? თურმე პოეზიი გაწყვეტილა, მე წინ მიმაჭროლებს და ჩემ სირანუშას ვაგონი კი მოწყვეტილი სდგას და ერთი ალიაქოთი აქვთ პასაჟირებს.

სირანუშა გამოსულა პლაშატკაზე. გაუწეწია თიბი: და ღრიალებს. თანაც რაღაცას მიქნევს და მანიშნებს. მეც დაუწყე აქედან ქნევა, მაგრამ ვატყობ, რომ მე და სირანუშა თანდათან ვშორდებით ერთმანეთს. ვშორდებით რა და, აშკარად ვშორდებით. ვეცი კანდუქტორსა და დავიწყე ღრიალი. როგორც იყო გააჩერეს პოეზიი. სირანუშა იქით იფაფრება და მე აქით ვღრიალებ. ბოლოს როგორც იყო მიგვატყუპეს სირანუშას ვაგონს, გადავარდი ხელათ. ვეცი სირანუშას. მაგრამ არ დავინახე, სირანუშაა შიშით გული წასვლია, დასეგია ეს ამოღენა პასაჟირები და ვინც არ გინდა უფათურებენ ხელებს და და მასაქს უკეთებს, ვითომ მოვებრუნოთო.

რომ შევხვედე ველა მეცა. ამ ჩემ სანუქ დედაკაცს ისე უსომენ ხელებს ეს ვილაცა ბიჭები, რომ თითქმის ჯვარი იმათ დავაწეროთ სირანუშაზე და მე ტერტერა, ან მაყარი ვყოფილიყო. ვა, ვე, დედაკაცისათვის უბრალოდ ხელი არ ამისვია, რომ ბეწვი არ შეახაროს მეთქი და ესენი კი ცხენის საურველივით უხახუნებენ ჩემ სირანუშას. ვეცი ხელათ მივყარ-მოვეყარე ხალხი. ლოყაზე აუსკვი, ცხვირი მოუჭყლიტე და როგორც იყო გონს მოვიყვანე, საწყალმა სირანუშამ ძლივს წაბოილულულა:

— „ბოიქა გეურქ, საკვაიაშში წამლები მაქვს და მაკლავებო“. მეც მამენტალნათ ვაყლაპე, ცოტა დაქოშმინდ. მერე გადავიყვანე წინა ვაგონში და წავიდეთ.

ისეთია საწყალი სირანუშა, რომ დანა პირს არ უხს-

ნის. მერე კაცო, ორსული დედაკაცი, ეს ამოტოლა პრიკლუჩენიები და რაზუმეიცა თუ საცემე არ მოკვდება, გაბერწდება მაინც, კაცი ღმერთივით ველი ნასლენდისკა, ნათლობისთვის მეზურნეები ეხლავე დამიჭირავებია და სრაზუმ ამისთანა ნესჩასტის კი წავაწყდი.

ისეთი ვარ, ისეთი ვარ, რომ დანა დამკრა წვეთი სისხლი არ ვადმომივია!

როგორც იყო ამასობაში მივაწიეთ გორს. სირანუშამ კურში მითხრა: „გეურქ მუცელი მტკივია“. შამოვიკარა ხელი, ვიფიქრე ნამდვილად გაბერწდა და დავილუპე მეთქი. მიველით გორში, მამენტალნათ ჩავჯექით ფაბრონში და წაველით ჩემ სიღედრთან.

ვეცი, ვიღუბები. პრევედერემენი როდია და ოქროსავეთ ნასლენდისკი მელუპება. ხელათ გავარდი და ორი დობტური და ერთი აკლუშერკა მოვიყვანე: დაჯდნენ, გასინჯენ, ისოვეტეს, და სთქვეს: „შიშისაგნ მუცელი გაფუქება, გეურქაჯან, და რას იზამ მკვდარი დაიბადებო“. ეს ორი გავიგონე, ულვაშის ძირები გამითეთრდა, მაგრამ რაღას ვიზამდი. ვიფიქრე დედაკაცი მაინც გადავარჩინო მეთქი და შევეხვეწე დობტურებს: წაიღეთ ჩემი სასტაიანია, ოლონდ დედაკაცი გადაამირჩინეთ. ამ დროს სირანუშამაც იყვირა: „მიშვილე გეურქ, მუცელში მკურის რაღაცაო“. დობტურებმა მისცეს ნასტავლენია აკლუშერკას და წავიდნენ. მითხრეს, თუ რამე გაუჭირდეს, დავიძახეთო. იყვირა კიდევ სირანუშამ და გადმომხედა. თურმე საწყალი აქამდის ბეზსახანაიაში ყოფილა შიშით და ეს აკლუშერკა რომ დაინახა, გაოცდა და მკითხა: „ეს ვინ არისო“. აკლუშერკა მოვიყვანე მეთქი.

— შე ტუტუტო, საამისოდ კი არა მტკივა მუცელი, ისე მტკივია. ეს რომ გავიგონე, ხელათ გავისტუმრე აკლუშერკა. დატრიალდა საწყალი ჩემი სიღედრი და აი თბილი აგურები ფენებში, აი ეს, აი ეს, აი ის, მაგრამ ბანჩუნეს. რათ უნდა რამე. თურმე იმ ვაგონში, რომ წამალი ვაყლაპე, აშოპკაში მოვსულვარ და სლაბიტელნი აბები მიყლაპებია, საწყალ სირანუშასათვის, ისეთი დღე დაადგა, შენს მტერს!

ეს რა მამივიდა, კაცო! ეს რა ნესჩასტიაში ჩავარდი! არა, ეს რომ ბახახანაში ვაიგონ, ხომ მთელი ბახარის საშ მასხარაო გავხდი?! გავხდები, მაშ რა ჯანაბა იქნება! აფსუს!

გოგია.

„თბილისის ბაღში „არტო“ ზშირად
იმართება ჩხუბი და ცემა-ტყეპა“.
(ქრონიკიდან).



მ. შალვაშვილი

ვისაც გინდათ სული შეგრჩეთ მარტო
ერთ საღამოს ინახულეთ „არტო“.

უსტაჩი ნატანაგიდან

შემოვიარე ეს მხარე,
ვაი ვაგლახი ვიშითა;
ბევრი რამ ვნახე ნანატრი,
ბევრისგან მოგვედი შიშითა.
ბუფეტის გამგე გავიცან
მე ალექსანდრე ლორია,
თუმცა ტაქსა საქმელებისა
იქვე გაკრული ორია,

მაგრამ ის იმას არ უმზერს.
ვაართვა ყველას ქონია.
სასადილოში შევედი
შიგ დამხვდა ბენდელიანი.
ლენო მოვთხოვე, მან მასვა
კახურის წვენი წყლიანი.
ასეთი ეშმაკობითა
დახლიც აქვს ბარაქიანი.
ბაზარში გავლა აღარ ღირს
გლოვობს სულ ყველა ვაჭარი,

აქ „ეპო“-ს გაძლიერებამ
მათ დაუკარგა ქანქარია.
სადგურის მეფედ გამზდარა.
ისაკი ქვეა სახელი;
შიშისგან ფერი ეცვალოს
ვინც იყოს მისი მნახველი.
ასეთებს, ჩემო ტარტაროზ,
სჭირია შენი „ანგაოი.
ჩამოდი, მისცხე სულყველას
დააწყებინე კანკალი! ტრია.

უწყამლოთ მოწყამლული

წალღერს ვავრეკე ოჯახი, ნავახშ - ნასესხი ვიღებთ, ქალი და ბავში ყვითლები, ლურჯათ ჩაცვინულ თვალებით;

იქ გააცივა სულ ყველას, იწვიან ცეცხლის ალებით, იქით გავრბივარ მწუხარე დეპეშით დანაბარებით.

მიველ—რა, ვნახე, დასაქცევს, აბუზულია სულ ყველა, ზოგს მუცელა სჭირს, ზოგს ქლეჭი—თუ ციება და თუ ხველა.

იგლოვებიან არ გზოგვენ, სიძვირე ყველგან ჩარჩობა, გლახს რაღას ერჩი საწყალსა, ოთახს სცემს სახმედვაკრობა;

ექიმ ფერშალი მოსულა, ვით თაფლს ესიოს ბუზებით, აქირაკებენ, უბღღერენ ერთ - ურთზე ანაბუზებით... ელექტრო გინდა სხივები, სიცოცხლის ყველა მაშინა, მაგრამ აუთიაქს არა აქვს არც სხვა წამალი არც ქინა; საქმიანობა გასინჯეთ „მზრუნველი“ სახმედ—ვაჭრისა.

კომბინაციით სჯობიან აშორდიას და კვაჭისა; სრა სასასლემის აგებას ვინ დაავალებს, რა სჯისა, ქინის არ მქონე მმართველი ღირსი არ არის დასჯისა?! „თვისაში ღვირვს ვერ ამჩნევს, სხვის თვალში ეძებს ბეწვებსა“

თუნდ ოცდაათჯერ დასწერეთ ოდნავ არ შექრის ბეჭებსა, ქინა რათ გვინდა მწარეა, სჯობს ჩვენი ტუჩი დაიტკობს, „ტარტაროსისა“ და მოუშ-გლეხინს უფროთხილდით არა შეიტყოს.

ახიპრი.

მისთვისველი სარსაროჯი



— ყველა შვებულებაშია, ყველამ მიმატოვა ამ ცხელ თბილისში. მართალია, ტარტაროჯი ვარ, მაგრამ ვაგრძელება არც მე მაწყენდა.

იმპერტილან იმერულათ

რა საჭიროა ბევრი ლაბარაკი — ერთოფე უცნოური მთავრობაა ჩვენი მთავრობა. თავის ფარგალსა და კალაპოტში აღარავის და არაფერს აღარ აყენებს — არც სულიერსა და არც უსულსა.

საუკუნოზე მეტ ხანს ვიყავით რუსის იმპერატორების ხელში. ე ფარგალი და კალაპოტი მაშინ იყო, თუ იყო. ის უფრო მუხრუჭი იყო, რკინის სალტები და თავით საბორკილე სამუხრუჭოები, სხვებს აბორკილებდნ.

შეიტყვებს კისერი იმპერატორმა და მისმა ქეშიკებმა, მევიდა ჟორდანია, შეცვალა ვითამ და გაშალა ცოტათი ფარგალი, მარა „დიდების“, და „პატარებისთვის“ ერთი ზომით მოუსვა ფარგალი და ერთ კალაპოტში შეინდომა ორივესი ჩაყენება. და გახუნდა ღილახანასა...

ახლანდელ მთავრობას რო ფარგალი და კალაპოტი აქ—ეს თელათ ხალხისათვისა კია და გამოსადეგი. და უნდა მიხედვს ყველა, რაც მისთვის საკეთილოა, თვარა, ვინც განზე გვიხრება და გვიდრიკება, იცოცხლე მუხრუჭი ახლაც იყოს!.. მისი არ იყოს, ტერტერამ რო უთხრა მოსინათლავ აჯღვირებულსა და გაქინჭკლებულს ბაოანას:— „შვილო, რა გაყვირებს — გნათლავ. ხო არ გკლავო—ეს ჩვენი მთავრობაც მის რჯულსა და იდათზე თავისებურად განათლავს, თუ კი შეისმენ, თვარა და მერე—რაც მოგივა დავითა—ყველა შენი თავითა!“

ასეა ეს სულიერზე, და ვისაც სულდგმულს კვინისში რამე გააჩნია, უნდა მიხედვს ამას. მე ახლა უსულსაზე გადავიდვარ და შევიტყვი წილადობილა ამან დამაწერიო... მტკვარი და რიონი!

მითამ უკუნი ეპშიდან ეს ორი მდინარე ჩვენი ქვეყნის ორი შეჯაგულს; ლინეთის მიღმა-მოღმა რწყავს, ბანს, აბო-

სიერებს, რეცხს, ამწვანებს და ალამაზებს... ორივეს გააჩნია თავის კალაპოტი, გოლხერეთით ქალა, დაბილო, ვაკე, ტყე და კტე და რა ბუნების ძალა დაუხვედებოდა ამგენს წინ, რა მათი დენა შეეჩერებია!.. მოხდა სასტული!

შამევიდენ ბოლშევიკები, სთქვენს — ჩვენ კომუნისტები ვართო და ვერ მევითმენთ, რომ სულიერი თუ უსულრი იქნება, თავისკენ იქაჩებოდეს, ძალაუფლება ერთის ხელში იყოსო. თუ კი რამე სიკეთე ვაცხია, სხვისაც უნდა გოუნაწილო ძმურათ, აფხანაკურათ. შენ შექარს მიირთმევდე და მე კეაწარახს — კალონი არაო.

ამ საბუთებით ჯერეთ მტკვარს დეეძგერა—გაგვიყავი შენი ავლადიდებაო — გააკავა; ოუშენა მოკირწყულული ზღუდეები, უცვალა კალაპოტი, შეგუბა, შედბორა, მემწყვრია მუხრუჭში და თავისს ნებაზე წყიყვანა განათლებისა და განათებისათვის გამოსაყენებლათ... ე მტკვარის საქმე რო გააჩიდა ახლა იმერეთში, იმერეთლიეთ ფხიკიანს, ქინჭულს და შფოთიან რიონსაც უპირობს მტკვრისფერად გამოყენებას.

ჰო და, რავა გინდა ახლა!? ამფერ ოსტატსა და მაცადინ ხალხს, ცხრა მთის იქიდან მოსდგომია ორი ნოე და წეროლებით და უსტრებით აპირობენ თავის გუნების კიდობნის აშენებას ჩვენში, რაცხა დურგლები მეჯახე და მამასახლისები იდვენ, აქანა არ იყვენ?.. მუყურ, ოჯახში ტრიალობდენ და ვერაფელი გააკეთეს, ერთხელაც ვერ მოიტორიალეს წაღმა კერია.. ვითომ ახლა სხვანაირათაა საქმეო, ჩვენკენაა აგლიჩანი და პაპაო...

ვია, მით პაპაის!..

იმერელი.

ცნობათა შიშაბა



ხიზის (თბილისი).
თქვენ გვწერთ:

„თავს ვანებებ სიმულიაციას,
ალარ ვიღებ მე კომპენსაციას...
თავს ვანებებ ბუშტიდში ტრიალს...
გადღეწვევი შიკირკებზე ღრიალს...“

კოდების მონანიებას მაშინ აქვს აზრი, როდესაც ყველას მოინანიებთ. ერთი დიდი კოდვა კიდევ დაგრჩენიათ: ეს განლავეთ—ლექის წერა.
თუ ამასაც თავს დაანებებთ, თქვენზე უწმინდისი ან-ცი აღარავინ იქნება.

შრჩს (თბილისი).

ურჩის ლექსი ასე თავდება:

„... ვისაც ჩემი ლექსი მოსწონს,
ერთხელ კალმისტარი მიქოს...“

შეიძლება თქვენი კალმისტარი მართლაც ძალიან კარგი იყოს, ლექსის შესახებ კი, თუ უკაცრავად არ ვიქნებით, საქებს ვერაფერს ვიტყვი. მან პატიოსნათ განისვენა წილსა შინა გოდრისას.
(ჭიათურა).

„მინდა, რომ სტეირი მოვმართო
იფაჭერიალო სიმებში
და ჭიათურას უმღერო
სიმტკიცით დანაპირები
პირველად უმღერ ნაზის ხმით.
წითელ მუშურ სასადილოს
არას ვიტყვი მის ვარშემო,
სავაგლახო სასაცილოს.
შეხვალთ, გინდათ ისადილოთ
შომშილისგან გიწუხნათ სული.
სანამ სადილს მოიტანდენ
გიღონდებთ მწარეთ გული.
ამ სადილის მოლოდინში
იკარგება ჭამის ხოში
კუხნისაკენ იყურები
ჯერ არ მოხანს არსად ბორში“.

ძალიან გულუბრყვილო ადამიანი ყოფილხართ ამხ. ზიპო! რომელ „წითელ სასადილოში“ მოაქეთ დროით სა-დილი? თქვენ გგონიათ მარტო ჭიათურაშია ასეთი წრის? ყველგან, ამხ. ზიპო!

ამით მიინც ინუგეშეთ!

ლაკლაპას (ჭუთათისი).

ოსაწონია ასეთი სურვილები?

„... მინდა გავხდე ნაწალიკი.
მყავდეს ლინჩი სეკრეტარში.
ავტომობილით ვიარო
წვიმასა და კარგსა დარში“...

შეგორცხვა ნამუსი! ან ასეთი ლექსი რამ დაგაწერია, ან ასეთი სურვილები რამ დაგიბადა?!

შიფოზო (ხონი).

შიმში გვიწყრება: „... რამდენჯერ მოვიწერე ხონის ბაზრობის შესახებ, რამდენჯერ არ დავასურათე რომ სა-ჭონელი ნებეს ყრის და ბაზრობის ადგილს აბინძურებს, რომ ლაყვი კვერცხები იყიდება,—არასოდეს არ დამიბეჭდეთ“... რა ვქნათ, ძვირფასო შიმში? პირუტყვის ბუნების გადაკეთება ჩვენ არ შეგვიძლია, ხოლო ლაყვი კვერცხს ნუ იყიდი და კარგი აარჩიე.

კულაშელს (სამტრედია).

„აქეთ გორა, იქით გორა...
მსუქანი ვარ და სულ ვგორავ“

ქვეა აზრი დამებნა და
ალარ ვიცი რასაც ვროშავ...“

„... დმერთმა ვაცხონოს, მართალი კაცი ყოფილხარ!
[...] დავიდასტურებ — როშავ, დიდ სისულელეს როშავ!
მეტიზინას (თბურჯეთი).

მეტეზინას კარგი სურვილები აქვს:
„საჭ და ამრიგად ამხ. ტარტაროზო, მინდა გავხდე
თქვენი თანამშრომელი რომ აქანეთს უწმინდურობა მოეს
პო. ვაზებელი ამოვარო. ქალაქის ცენტრი ვაიასოლოო.
გოგავანი სინიმუშო ლექსა:

„ცხვირის ნესტო ვამებურ:
სუნი მეცა საოცარი...
მტვერისგან და ტალახისგან.
გამიშავდა გულ-ფიცარი...“

ქენი სიკეთე, მაღალ სანიტარულ კომპიას საკეთ
დაეხმარე, თორემ შენმა ლექსმა, გოდორში რომ არ გადა-
გვემახა, კელამ „ტარტაროზში“ შექმნა ანტიანტიტარუ-
ლი მდგომარეობა.

მ-ას (ტფილისი-ჩოხატაური).

ვასაკვირველ ამბავს გვწერს ამხ. ქ-ა:

„ჩოხატაურსა განხეგეს
სიხარულიძე ვამები,
შეხედულობით ანმახი
ხიტყვა-პასუხით ქვა-მები.
„სატანისგან“—სიები აქვს
შხოლოდ ნიშნის დასასმელათ,
შიგ სწერა ვინც მზად არის
საიქოს წასასვლელათ.
თანამშემწეთ, მხარში ტოლათ
ჯიბუტი ყავს მეღიტონი,
ამ საქმეში „საბეციალისტი“
პიროვნება მოსაგონი“.

რამდენ კაცს კლავენ ყოველ-კვირულად? ძალი-
ცოა რას შეება? მილიციაც ხომ არ ამოუტელეტიათ? საჩ-
ქართო გაცნობით ყველაფერი. დარბა კიდევ ვინმე ჩოხა
ტაურში?

ქორს (ლანჩხუთი).

„ქორი“ ლექსს გვიგზავნის და გვწერს:

„... თუ ხაყუნად არ მიიღებთ, დამიბეჭდეთ ლექსი
და შემდეგაც გამოგზავნით...“
| წორედ ძალიან გვეწყინა და თუ შემდეგში კიდევ
გამოგზავნენ,—გავბრაზდებით. ფინთი სისხლი გვაქვს,
გვერიდე.

კონკურსი № 5-ი, შიღიში
გამოცხადებული იქნება
„სარსაროზი“-ს
შაიდავ ნოზარში

„მყიდველები ხშირად სწივიან, რომ
კოოპერატიულ დუქნებში ნოქრები მათ უხე-
შაო ექცევიან“.
(გაზეთებიდან).



მყიდველი გლახი: კბილვებ რათ შიკრიკინებ? ერთი კილო მარილი გთხოვე, ხომ არ გამილანკლიხარ?!